572
საქართველოს ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ერთიანი ბიბლიოთეკა

კვირა, 25 იანვარი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 4 (215). ფასი 30 კაპ.

ლენინის დროშით ვიმარჯვებთ

თვრამეტი წლის წინათ გარდაიცვალა ბოლშევიკების პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. მშრომელმა კაცობრიობამ უღრმესი გულისტკივილით და მწვავე მწუხარებით დახარა თავი გარდაცვლილი დიდი მასწავლებლის წინაშე.

უდიდესი რევოლუციური ძვრებისა და ქარტეხილების ეპოქაში ლენინმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება. მის საფუძველზე შეჰქმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — პროლეტარიატის დიქტატურა და დაგვიტოვა იგი, როგორც ქვაკუთხედი სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისა.

ლენინის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში საბჭოების მეორე საკავშირო ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დასდო ლენინისა და მისი მოძღვრებისადმი ერთგულების დიადი ფიცი.

დიდმა სტალინმა შეჰფიცა ბელადს, რომ ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა ხალხი დაიცავენ, განამტკიცებენ და გააძლიერებენ საბჭოთა სახელმწიფოს, რომ დაიცავენ და განამტკიცებენ მუშებისა და გლეხობის კავშირს, რომ გააფართოვებენ და გააძლიერებენ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახს, საბჭოთა ხალხების ძმურ თანამშრომლობას, რომ თვალს ჩინივით გაუფრთხილდებიან და გააძლიერებენ წითელ არმიას და წითელ ფლოტს.

თუ როგორი თანმიმდევრობით და ერთგულებით ანხორციელებდა კომუნისტური პარტია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ლენინის ნაანდერძევს,—ეს ცხადჰყო დღევანდელმა გრანდიოზულმა სამამულო ომმა ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ომი ყოველთვის იყო ხალხისა და სახელმწიფოს გამოცდა.

ავაზაკმა ჰიტლერმა თავისი ჯოჯოხეთური სამხედრო მანქანა ჩვენს წინააღმდეგ დასძრა იმ იმედით, რომ ჩვენი სამშობლო, როგორც თანამედროვე სამხედრო საჭურვლის მწარმოებელი ინდუსტრიული ქვეყანა, ინდუსტრიულ ევროპასთან შედარებით, უძლური აღმოჩნდებოდა, და როგორც კი ჰიტლერის ჯარი ჩვენი სამშობლოს დასავლეთ ოლქებს დაიკავებდა, უთანაროდ და უსაჭურვლოდ დარჩენილი ჩვენი ხალხი მაშინვე მოიდრიკებოდა.

ბეცი და წინდაუხედავი მტერი სასტიკად მოსტყუვდა ამ ანგარიშში. ასრულებდა რა ლენინის ანდერძს საბჭოთა სახელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცებისა და გაძლიერების შესახებ, საბჭოთა ხალხმა დიდი ბელადის სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში შეჰქმნა უძლიერესი ინდუსტრია და კვალიფიციურ მუშათა მრავალმილიონიანი არმია, რომლებიც ომის პირველ დღიდანვე მთლიანად ჩადგენ სამამულო ომის სამსახურში. მტერმა დაიჭირა ჩვენი სამშობლოს დასავლეთი ოლქები, მაგრამ ვერ მისწვდა ჩვენს სამხედრო მრეწველობას, რადგან ჩვენმა ხალხმა უმალვე ღრმა ზურგში გადაატანა იგი, რაც მოწმობს ჩვენი ტრანსპორტის განვითარების მაღალ დონეს და მისი მუშაობის გასაოცარ ტემპებს. ომის მეშვიდე თვეზე ჩვენი სამხედრო ინდუსტრია არა თუ არ შესუსტდა, არამედ იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ მისი საწარმოო სიმძლავრე, ობიექტური დამკვირვებლის — ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი მოსკოველი ელჩის დევისის დასკვნით, კვლავ არაერთხელ გაოცებს მთელს კაცობრიობას.

გონება-დაკარგულმა ჰიტლერმა ფაშისტ ყაჩაღთა ურდო შემოუსია ჩვენს სამშობლოს იმ იმედით, რომ მისი შემოჭრის პირველ დღეებშივე დაარღვეოდა მუშათა და გლეხთა კავშირი.

მტერი ამ ანგარიშშიც მწარედ მოსტყუვდა. სოციალისტური სამშობლოს დამონების საფრთხემ და პარტიის ხელმძღვანელობით მოპოებული ბედნიერი ცხოვრების დაკარგვის საფრთხემ კოლმეურნე გლეხობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირა მუშათა კლასს, მშრომელ ინტელიგენციას, ბოლშევიკების პარტიას. ეს კოლმეურნე გლეხობაა, რომელმაც სამამულო ომის დღეებში გააათკეცა თავისი მუშაობა, რათა უზრუნველჰყოს საკვები პროდუქტებით ჩვენი მამაცი მეომრები, ეს კოლმეურნე გლეხობაა, რომელიც ზრდის ბედაურ ცხენებს წითელი კავალერიისათვის, ჰკერავს და ჰგზავნის თბილ ტანსაცმელს ჩვენი ფრონტისათვის. ეს კოლმეურნე გლეხობაა, რომელიც, მუშებთან და ინტელიგენციასთან ერთად პარტიზანულ რაზმებში გაერთიანებული, თავზარს სცემს სისხლიან ოკუპანტებს დროებით დაპყრობილ ოლქებში.

ასევე ნიადაგს მოკლებული გამოდგა ჰიტლერის იმედი, რომ მტრის მრისხანე ულმობელ დარტყმისთანავე შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომ ერები ერთმანეთს გამოეთიშებოდნენ და ურთიერთის წინააღმდეგ იარაღს აიღებდნენ. ფუჭი და ამაო გამოდგა ჰიტლერის ეს ბრიყვული ოცნება: მოძმე ერები, როგორც ერთი კაცი, აღსდგნენ ერისჯამია ფაშიზმის წინააღმდეგ, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და ერთმანეთს შორის გააჩაღეს უკეთილშობილესი შეჯიბრება საერთო სოციალისტური სამშობლოს დაცავად. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი თავგანწირვით იბრძვის, რადგან მათ იციან, რომ მხოლოდ ერთ სახელმწიფოებრივ ოჯახში ყოფნამ, მხოლოდ ძმურმა თანამშრომლობამ უზრუნველჰყო მათი ნაციონალური თავისუფლება, სამეურნეო და კულტურული აღორძინება, ყოველი მათგანის ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნა. ამ შეგნების შედეგია ის, რომ საბჭოთა კავშირის დაცვის წმინდა საქმეს თავის სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანა არა ერთმა უკრაინელმა და ბელორუსმა, აზერბეიჯანელმა და ქართველმა, უზბეკმა და სომეხმა, ყველა მოძმე ხალხის არა ერთმა და ორმა კეთილშობილმა შვილმა.

ბნედიანმა ჰიტლერმა ომი დაიწყო იმ იმედით, რომ მისი „უძლეველი“ სამხედრო მანქანა პირველივე დაჯახებით დალეწდა ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას, ჩვენს სახელოვან ფლოტს, მაგრამ ომის პირველ დღეებშივე გაცამტვერდა გაგიჟებული „ფიურერის“ უნიადაგო შეხედულება წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობაზე. ამხანაგ სტალინის მიერ გამოწრთობილი ჩვენი არმია ვერ დაფრთხო ვერც მოულოდნელმა მუხანათურმა თავდასხმამ, ვერც მტრის გადაჭარბებულმა შეიარაღებამ, ვერც მისმა ახალმა სამხედრო ტაქტიკამ. ვერაგ მტერთან ბრძოლამ გააკაჟა და გაასალკვდევა წითელი არმია. იგი იქცა ისეთ ძალად, რომელმაც მოსპო ექვს მილიონზე მეტი მტრის მეომარი, დალეწა და მტვრად აქცია მტრის უამრავი საჭურველი და ომის მეექვსე თვეზე თვით დაიწყო ძლევამოსილი კონტრშეტევა მთელს ფრონტზე.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფოს უმძიმესმა გამოცდამ ამ მრისხანე სამამულო ომში დაადასტურა, რომ კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი გულმოდგინებითა და ერთგულებით შეასრულა დიდი ლენინის წინაშე დადებული ფიცი ამხანაგ სტალინისა. დიადმა საბჭოთა ხალხმა პირნათლად შეასრულა ეს ფიცი, მან მოიპოვა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული გამარჯვებანი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ის იმარჯვებს და გაიმარჯვებს ფაშიზმის ურდოებზე იმიტომ, რომ მთელს ჩვენს საქმეს. საბჭოთა ხალხის დაძაბულ მუშაობას, მის თავდადებულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინის დიადი საქმის ღირსეული გამგრძნობი დიდი **სტალინი.**

ბალადა ხელმანდილზე

ი. გრიშაშვილი

1

მან ნაქარგი ხელმანდილი შემოავლო ყელზე
და გაგზავნა ნახდაური დიად ბრძოლის ველზე.
უთხრა: თუ გსურს შემიყვარდე, სატრფოვ, უფრო მეტად,
უნდა ვალი მოიხადო მტრების გასაწყვეტად.
აი თეთრი ხელმანდილი, შენთვის მოქარგული,
აქ ძაფებად ძარღვი ჩავდე, ნასკვად — ჩემი გული.
თუ დაეცე, ბრძოლის ველზე დაგელიოს დღენი,
„მტერს ცოცხალი არ დანებდე!“ — ასე ამბობს ლენინ.

2

ის იცავდა წითელ დროშას, ჩვენს შნოსა და ლაზათს,
დროშას — პირმშოს ლენინისას და სტალინის ნაზარდს.
ის იბრძოდა... მტერს ასეულს გაუმკლავდა ერთი,
მაგრამ როცა მარცხდებოდა, ხიშტს დააგო მკერდი,
სისხლი ვარდად გაიშალა თოვლდაფენილ ველზე,
გაახსენდა სამშობლო და... სახსოვარი ყელზე,
ჩამოიხსნა ხელმანდილი, შენახული ლხენით,
და ზედ სისხლით დაწერა ერთი სიტყვა „ლენინ!“.

ახალი სამყაროს შემოქმედი

„ლენინი ახალი სამყაროს მამაა“,—ამბობს ამერიკელი მწერალი ეპტონ სინკლერი. 18 წლის წინად წავიდა ჩვენგან ახალი სამყაროს ეს გენიალური შემოქმედი, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საბჭოთა ხალხს, ჩვენს დიად სამშობლოს, მოწინავე კაცობრიობას ერთი წუთითაც არ უცხოვრია ულენინოდ.

ლენინი ცოცხლობს ყველაფერში, რითაც ცოცხლობს და სულდგმულობს ჩვენი სამშობლო. მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლესი ბელადის, ჩვენი უძლეველი სარდლის დიდი სტალინის გენიის ყოველ გამოვლინებაში ცოცხლობს ლენინი, რადგან, ანრი ბარბიუსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „არავისში ისე არ განსახიერებულა ლენინის აზრი და სიტყვა, როგორც სტალინში. სტალინი—ეს არის ლენინი დღეს“.

უღრმესი სიმართლით გამოხატა ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და გრძნობა ლენინ-სტალინის ეპოქის უდიდესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ლენინის შესახებ თქმულ სიტყვებში:

„ის აქვე არის, თუმცა არ სჩანს
და ჩვენთან არ ზის,
მისით ეძლევა ყოველ საქმეს
სისწრაფე ელვის,
გოსპლანს აშკარად გზის მკაფიო.
ლენინის აზრი,
მისი წამყვანი და მესაჭე
იგრძნობა ხელი“.

ლენინმა „გააჩაღა კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის უდიდესი ბრძოლის ჩაუქრობი ხანძარი, და ხალხთა უკეთესი მომავლისათვის წარმოებული ბრძოლა ყოველ ქვეყანაში და ყოველთვის შთაგონებული არის და იქნება ლენინის გენიით. „მისი ხსოვნა არა მარტო წმინდაა, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია მთელი მებრძოლი კაცობრიობისათვის“, — სწერდა თეოდორ დრაიზერი. ამავე აზრს იმეორებს დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე: „ლენინმა შთაბერა სიცოცხლე და სითბო კაცობრიობის იმ ძალებს, რომლებიც პროგრესის საქმისათვის იბრძვიან“.

პროგრესისათვის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის წარმოებულ ახლანდელ უდიდეს საკაცობრიო ბრძოლაში, საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის ამ მრისხანე დღეებში შთაგონებულად და მზნებარედ გაისმის ლენინის ის სიტყვები, რომლებითაც იგი სამოქალაქო ომის ბარიკადებზე მიაცილებდა პეტროგრადელ მუშებსა და წითელარმიელებს: „იბრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ამხანაგებო, მოეჭიდეთ ყოველ გოჯ მიწას, იყავით მტკიცენი ბოლომდე, გამარჯვება შორს არ არის! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

როდესაც ჩვენი გმირი წითელი არმია სტალინის გენიალური სარდლობით გამანადგურებელი კონტრიერიშებით უკუაქცევს გერმანელ დამპყრობთა ბრბოებს, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღმაგზნებელი მოწოდების ზარად რეკს ლენინის ანდერძი: „დაძაბეთ მთელი ძალები! რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, მისდიეთ უკუქცეულ ჯარებს, ურტყით მათ, არ მისცეთ მათ არც ერთი საათი, არც ერთი წუთი მოსვენება. ახლა უფრო მეტად შეგვიძლიან და ვალდებული ვართ დავსტრტყათ რაც შეიძლება უფრო მძლავრად, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი“.

ჩვენი ხალხის უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანების ახლანდელ დიად დღეებში ჩვენ წინ მიგვიძღვის ლენინის უკვდავი სახე, როგორც სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის, უმაღლესი პატრიოტული გრძნობის დიდებული სიმბოლო. ლენინის შეუნიშნავი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სწორუპოვარი ეპოქა ღრმად არის გამსჭვალული პატრიოტიზმის უკეთილშობილესი იდეით. „ნაციონალური სიამაყის გრძნობა“ ლენინს მიაჩნდა ყოველივე ღირსეული ადამიანის უაღრესად კანონიერ და წმინდა გრძნობად. „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ **მისი** მშრომელი მასები (ე. ი. **მისი** მოსახლეობის ცხრა მეათედი) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე“, — სწერდა ლენინი 1914 წელს.

ფაშიზმის სისხლიან დაპყრობითს პოლიტიკას, მის კაციჭამია რასიულ ნაბოდვარს ჩვენ სიამაყით ვუპირისპირებთ **„უსრულესი** ნაციონალური თანასწორობისა და ძმობის“ იმ იდეას, რომლის სულისკვეთებითაც ზრდიდა და ზრდის კაცობრიობას უკვდავი ლენინი.

ომი ჰიტლერული გერმანიის გასანადგურებლად—ეს არის ომი საკაცობრიო ცივილიზაციის, კულტურისა და პროგრესის გადარჩენისათვის იმ ველური ძალისაგან, რომელიც ცინიკური გულახდილობით ლაპარაკობს საკუთარი ბარბაროსობის შესახებ და ამაყობს კიდეც თავისი ბარბაროსობით. ფაშიზმი ისწრაფვის დაამხოს თანამედროვე ცივილიზაცია.

ლენინის მოძღვრებაზე აღზრდილი გმირი საბჭოთა ხალხი თავგამოდებით აღსდგა საკაცობრიო კულტურის ამ უბოროტესი მესაფლავეების ასალაგმავად და მოსასპობად. ლენინმა გვასწავლა განუზომელი სიყვარული კულტურისა და დაუცხრომელი მისწრაფება ცივილიზაციისაკენ.

ლენინმა ჩაგვინერგა სიყვარული და პატივისცემა კულტურული წარსულისადმი, კაცობრიობის მიერ შექმნილი ყოველი კულტურული ღირებულებისადმი.

ლენინი პირადად გვაძლევდა საკაცობრიო კულტურისადმი უფართოესი ინტერესისა და სიყვარულის შესახებ. მაგალითს. ლენინის მახლობელ ადამიანთა მოგონებებიდან ვიცით, რომ ციმბირში გადასახლების მძიმე წლებშიც მას სამუშაო მაგიდას მუდმივად ამშვენებდნენ პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ტურგენევის, ბალზაკის, დიკენსის, ჰაინეს და სხვათა წიგნები, რომ ემიგრაციის წლებშიც ლენინი ცხოველ ინტერესს იჩენდა თეატრის, მუსიკისა და ლიტერატურისადმი.

ახლა, როდესაც მთელი კულტურული მსოფლიო შეძრწუნებულია ფაშისტი ვანდალების ველური მოპყრობით ლევ ტოლსტოის ხსოვნისადმი, ჩვენ სიამაყით შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ რა მაღალი შეფასება მისცა ლენინმა რუსი ხალხის ამ გენიალურ მწერალს, უწოდა რა მას „რუსეთის რევოლუციის სარკე“. რომენ როლანი სწერდა ლენინის შესახებ: „ის კვლავ და კვლავ კითხულობს ტოლსტოის. ის... ამაყობს მით, როგორც თანამემამულით და აზრთა თანამგზავრით“. მაქსიმ გორკი მოგვითხრობს, რომ მას ერთხელ ლენინი შეეკითხა: „ვინ შეიძლება ევროპაში გვერდით დავუყენოთ ტოლსტოის?“ და თავათვე უპასუხა: — „არავინ“.

არა მარტო ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებაზე აღზრდილი საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა შესცქერის ლენინს, როგორც გზის მანათობელ ჩირაღდანს კაცობრიობის მომავლისათვის ბრძოლაში. მშვენივრად გამოსთქვა პროგრესიული კაცობრიობის ასეთი აზრი მოხუცმა ინგლისელმა მწერალმა ბერნარდ შოუმ: „თუ მომავალი ლენინის არის, ჩვენ ყველას შეგვიძლია გვიხაროდეს ეს. ხოლო თუ მსოფლიო ძველ გზას გაჰყვება, მე მომიხდება მწუხარებით გავმორდე ამ ქვეყანას“.

კაცობრიობის ბეღნიერი მომავლისათვის მებრძოლ საბჭოთა ხალხს წინ მიუძღვის და იფარავს ლენინის დიადი დროშა. უმაგალითოდ გმირული ომის ქარცეცხლში გახვეული ჩვენი ქვეყანა ახლა ერთსულოვნად იმეორებს მაიაკოვსკის სიტყვებს:

„დროებავ, ისევ ლენინური
ლოზუნგი დაჰკარ,
განა ჩვენ უნდა დავიღვაროთ
ცრემლების ტბებად?
ცოცხლებზე უფრო დღეს ცოცხალ,
ლენინო, დგახარ,
ცოდნა ხარ ჩვენი,
იარაღი
და ძალთა კრება“.

გეზო ჟღენტი

უკვდავი ლენინი

შალვა დადიანი

ლენინი დიდი უკვდავი სახელია მსოფლიო გენიოსისა.

გენიოსის მთავარი თვისება სწორედ ის არის, რომ წინასწარ გასჭვრიტოს ყველა მოსახვევ-მოსახვევი ისტორიისა, მისი აღმართი და დაღმართი და ზუსტად და შეუმცდარად გაიყვანოს ხალხი გამარჯვების გზაზე.

პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და იდეური სიმტკიცე, — აი ბუმბერაზის ნიშანდობლივი თვისებები.

ლენინი უდიდესი მასწავლებელია მუშათა კლასისა. ლენინი ემყარება მთლიანად და სავსებით მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულ პრინციპებს. იგი არის განმგრძობი და განმავითარებელი მათი საქმისა და ამის საფუძველზე ლენინმა დაამუშავა საკითხი მუშათა კლასის კავშირის შესახებ მშრომელ გლეხობასთან, დაამუშავა საკითხი რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ.

ლენინის ხელმძღვანელობით პროლეტარიატმა მოიპოვა, შეინარჩუნა და განამტკიცა მუშათა და გლეხთა პირველი საბჭოთა სახელმწიფო.

ლენინმა დაასაბუთა სოციალისტური საზოგადოების აგების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით.

ლენინის ხელმძღვანელობით დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში.

ლენინმა მსოფლიო პროლეტარიატს უჩვენა გზები ექსპლოატატორების ხელისუფლების დამხობისა, კაცობრიობის განვითარების და უკლასო კომუნისტური საზოგადოების შექმნისა.

ლენინის ხელმძღვანელობით პროლეტარიატმა აამხედრა იმპერიალიზმთან საბრძოლველად ცარიზმის დროს დაჩაგრული ერები.

ლენინმა შექმნა კომუნისტური ინტერნაციონალი. ლენინის ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო რევოლუციის ყველა გამარჯვება.

როგორია ლენინური სტილი მუშაობისა? მოვეხსენებათ, ამაზე სწორუპოვარი განმარტება აქვს მოცემული ჩვენი დროის უდიდეს გენიოსს ამხანაგ სტალინს:

„ლენინიზმი არის თეორიული და პრაქტიკული სკოლა, რომელიც აყალიბებს პარტიული და სახელმწიფო მუშაკის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც ჰქმნის მუშაობის განსაკუთრებულ, ლენინურ სტილს. რაში მდგომარეობს ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნები? როგორია მისი თავისებურებანი?

ეს თავისებურება ორია: ა) რუსული რევოლუციური გაქანება და ბ) ამერიკული საქმიანობა“...

„რუსული რევოლუციური გაქანების შეერთება ამერიკულ საქმიანობასთან — აი რა შეადგენს ლენინიზმის დედაარსს პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში“ (სტალინი).

ჩვენ ვიცით ამ შეერთებამ, მუშაობის ასეთმა სტილმა რა დიდი ნაყოფი მოუტანა, რა დიდი მიღწევები მისცა ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს.

უკვდავი ლენინის ნათქვამი, ნააზრევი და ნამოქმედარი მისაბაძი და სახელმძღვანელოა ყოველთვის, მაგრამ დღეს კიდევ უფრო, როდესაც გამხეცებული ფაშიზმი პირისისხლიანი ჰიტლერელების სახით შემოესია ჩვენს ქვეყანას და სურს რომ ფეხქვეშ გათელოს და წაალეკოს ჩვენი დიდი სამშობლოს საუკეთესო კულტურული და მატერიალური მონაგარი.

დღეს კიდევ უფრო გრგვინავს დიდი ბელადის სტალინის მოწოდება:

ვიყვნეთ ისეთი უშიშარნი ბრძოლაში და ულმობელნი მტრისადმი, როგორიც იყო ლენინი.

ვყვნეთ განრიდებულნი ყოველივე დაფრთხობისა და შეძრწუნებისაგან, როდესაც საქმე რთულდება და ჰორიზონტზე გამოისახება რაიმე საშიშროება. ვიყვნეთ თავისუფალი ყოველგვარი პანიკისაგან ისე როგორც თავისუფალი იყო ლენინი.

ვიყვნეთ ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაწყვეტაში, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყოველმხრივი აღნუსხვა პლიუსებისა და მინუსებისა, როგორც ეს იცოდა ლენინმა.

ეს ყოველივე უდიდესი მოვალეობა იყო და მით უფრო დღეს არის ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის, მაშასადამე, მწერლებისათვისაც.

დღეს კიდევ უფრო უნდა ვიაროთ ამ გზით, ვიბრძოლოთ, კიდევ უფრო მეღვრად შეუტიოთ ვერაგ მტერს, გაუბედაურებელი არ დავტოვოთ ჩვენს ქვეყანაში გადმობოტებული არც ერთი ოკუპანტი, თან ვიმუშაოთ თავდადებით და ლენინ-სტალინის დროშით გავიწიოთ წინ ახალი გამარჯვებისაკენ.

უკვდავება

ლენინის ხსოვნას

სანდრო ეული

ვიდრე დღისით მზეა მიწის ხალისი,
ღამით — მთვარე მას შუქფენით ახარებს,
რა რიგ მტრობდეს ქარიშხალი და ნისლი,
წყვდიადს მაინც მიწას ვერ შეაყვარებს,

სანამ დროშას მისი სახე აშვენებს,
სანამ იგი დიად რწმენის ფარია,
წინ მიგვიძღვის, გზას გვინათებს, გვაჩვენებს,
ჩვენს მხარეში რა მზიანი დარია.

რა აღუდგეს მას და იგი დასძლიოს,
რა ჩააქრობს მანათობელს მზესავით.
ვის შესწევდეს ძალა, მონად აქციოს,
დაგვიღუწოს ჩვენ სამშობლო ბზესავით,

როს უკვდავი გული მისი მაგრად სცემს
და თავის გულს—გულისცემას ქვეყნისას,
იგი უნთებს ჩვენს სამშობლოს ვაჟკაცებს,—
მათ გმირული ბრძოლა მის დროს ეღირსათ...

მისი დროშით და გზით დიდი სტალინის
ლენინიზმი უკვდავებად ანთებს,
სად არ წვდება, მთელს სამყაროს დაივლის, —
საბოლოო გამარჯვებას ღაღადებს.

3. ი. ლენინის სურათზე

ვასო გოგრაძე

შენი ხმა გრგვინავს, ვით ბრძოლაში ძლევის ნალარა,
ახლაც მის შუქი გზას გვინათებს შეუცდომელი,
შენს სახელს თრთოლვით დღეს ადიდებს ყველა მშრომელი,
ვოლგის ზვირთები და კავკასის თეთრი ჰალარა.

შენს წინ წყვდიადმა უკუნეთმა თავი დახარა,
როს ამობრწყინდა შენი სხივი ღამის მჭრობელი,
შენი ღრმა აზრი, როგორც ტალღა დაუდგრომელი,
ხალხს განსაცდელში მოევლინა უძლეველ ფარად,

ახლა, როდესაც, ვით მრისხანე ცეცხლის კედელი,
ომის ხანძარის დგას გრიგალი განუწყვეტელი,
მებრძოლებს შენი აფრთოვანებს ნათელი დროშა!

მას წინ მიუძღვის შენი საქმის უბადლო მცველი,
ვისი მარჯვენაც მარად მტკიცე, შეურყეველი
სამშობლოს ველებს გამარჯვების სხივებით მოსავს!

ის შთააგონებს!

გიორგი კალანდაძე

სადაც ნალეწი, ნამუსრევი
ჯავშანი ჰყრია,
გრიალებს ტანკი, ჰქუხს ქვემეხი,
დაშხუის ტყვია;

სად სამართლიან ომის ცეცხლით,
მეხით და ქარით
მტერს სამუდამოდ ასამარებს
სტალინის ჯარი, —

იქ ზამთრის ღამით, იდუმალი,
ძვირფასი ლანდი,
ფრონტიდან ფრონტზე მეომარის
ფარაჯით დადის.

იგი მებრძოლის გულს გმირობას
და თვალებს ნათელს
წამიდან წამზე უცნაური
სისწრაფით მატებს.

ის შთააგონებს, მოუწოდებს,
ამხნევებს მარად,
რომ მტერს ცეცხლივით შემოერტყას
შემმუსვრელ რკალად,

რომ ღამის ურჩხულს დაულწონ
მკერდი და კეფა,
რომ ქვეყნად მარად ჩააჩუმონ
ქვემეხის ყეფა.

გრიალებს ტანკი, ჰქუხს ქვემეხი,
სისინებს ტყვია,
ირგვლივ ნალეწი, ნამუსრევი
ლითონი ჰყრია.

ფრონტიდან ფრონტზე მეომარის
ფარაჯით დადის
დიდი ლენინის იდუმალი
ძვირფასი ლანდი.

ლენინი და პეტროგრადი

დავით სულიაშვილი

ეს მოხდა 1917 წელს... ეხლანდელი გმირი ქალაქის ლენინგრადის, ხოლო მაშინდელი პეტროგრადის მუშები და მთელი რუსეთის მშრომელი მოსახლეობა საუკუნეებით არსებული ცარიზმის დამხობას აღფრთოვანებულნი შეხვდნენ. ხოლო როცა დროებით ძალა-უფლება კადეტებმა, მენშევიკებმა და ესერებმა ჩაიგდეს ხელში, პეტროგრადის პროლეტარიატი მღელვარებდა. მის გულში უკმაყოფილების კოცონი ღვიოდა. იგი მოელოდა თავის ნამდვილ წინამძოლს.

და აგერ ფილიანდიის სადგურს მოადგა მატარებელი, რომლითაც საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ლენინი მოდიოდა.

ვაგონიდან გადმოდის იგი მოღიმარი, აღგზნებული, ღრმად ჩამჯდარი მოციმციმე თვალებით. ქუდმოხდილი და ელექტრონის შუქზე მბზინავი ტიტველი შუბლით მიემართება მის შესახვედრად შეგროვილ მუშებსა და პარტიულ ამხანაგებს შორის...

სივრცეში გაისმის ძახილი: „გაუმარჯოს ლენინს!“, “გაუმარჯოს რევოლუციას!“

უცბად მხრების მჭიდრო ლობეს გაარღვევს ვიღაც, წინ გავარდება, აღფრთოვანებული მივარდება ლენინს, გადაეხვევა და ხელში ყვავილებს ჩაჩრის...

მაღალ ღეროებზე წერწეტად აშვერილი ყვავილები მის ნიკაპს ეალერსებიან, უცაცუნებენ, თრთიან. და ლენინმა არ იცის, როგორ მოექცეს ამ ყვავილებს, როგორ დაიკავოს ხელში.

მას ყოფილ სამეფო დარბაზისაკენ გაიტაცებენ, — იქ უცდიან პარტიების წარმომადგენლები. ელექტრონის შუქით გაჩაღებულ დარბაზში გაისმის მისი მკვეთრი სიტყვები...

ყველა სულგანაბული უსმენდა.

სიტყვების დამთავრების შემდეგ მუშებმა მხრებზე შეისვეს იგი. გარუთ გაიყვანეს და ჯავშნიან ავტომობილში ჩასვეს. პროჟექტორებით უნათებდნენ გზას და დიდხანს უკან მისდევდნენ ძახილით: „გაუმარჯოს ლენინს! გაუმარჯოს რევოლუციას!“

მეორე დღეს, გაზაფხულის მზემ რომ პეტროგრადის ქუჩები გაანათა, მისი სხივები მუშათა უბნებს უფრო თბილად მოეფინნენ, — იქ იყო ლენინი...

ხოლო ბურჟუაზიული ფენები შეშფოთდნენ. მყისვე იგრძნეს ის ძალა, იდილიურ ცხოვრებას რომ დაარღვევდა. ლენინის კადნიერი გამოსვლა ბოროტად ახასიათეს და მისი ავტორიტეტის დასაცემად ჰორების გუდა გახსნეს.

პეტროგრადი ემზადებოდა. ლენინი მუშებს რაზმავდა.

და აი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე აპრილის თეზისებით გამოვიდა ლენინი.

ლაპარაკის დროს იგი წინწასხრილი იდგა. თვალში გეცემოდა მისი ტიტველი თავი, მოზრდილი განიერი შუბლი და ძარღვიანი სახე. ხელები მოუსვენრობდნენ — ხან მუშტად იკუმშებოდნენ, ხან კი გაშლილ სივრცეში ავარდებოდნენ. ამ მოძრაობაში იყო რწმენა, იმედი და რკინისებური სიმტკიცე...

წინგაზიდულ შუბლს ქვევით ღრმად წასული თვალები უცბად აციალდებოდნენ ხოლმე. რაკი მსმენელი ერთხელ მოჰკრავდა თვალს ამ აციალებას, თრთოლვით გაიყურსებოდა და სმენას გაამახვილებდა. ხმა ხშირად შერბილდებოდა, თითქოს ბადეში უნდა გაგახვიოს, დაგიჭიროს, როგორც მეთევზე თევზს იჭერს ხოლმე.

მაგრამ აგერ სხეული გასწორდა. ახლა ლენინი დაუნდობელია. ორიოდე ნაბიჯით უკან იხევს, თითქოს უნდაო საბრძოლველ არესთვის მეტი ადგილი დაიკაოს, რომ მოწინააღმდეგეს გაშმაგებით თავს დაეცეს. მერე თანდათან წინ წამოვა. მსმენელებს თვალებში ჩაეჭიდება, ტრიბუნის ნაპირზე დადგება და ხელების ქნევით მოქმედებს მსმენელებზე, ვით ჯადოსანი...

აი გაისმა მოკუთხული მისი ფრაზა: „პროლეტარიატის დიქტატურა ძირფესვიანად აღმოფხვრის ამ ბურჟუაზიულ წუმპეს...“ მსმენელები მჭუხარე ტაშით შეხვდებიან ამ სიტყვებს. ახლა ლენინი კვლავ გასწორდება წელში და შუქმოფენილ შუბლით და ელვარე თვალებით გადახედავს მჭუხარე დარბაზს.

მისი ორატორული ძალა ისეთი იყო ფრაზეოლოგიითა და მყვირალა სიტყვებით აწეული. მის ლაპარაკში იყო ხანდახან ხუმრობა, რაც საჭირო მასისთვის. რათა მსმენელი დაერწმუნებინა და თავის მხარეზე დაეყენებინა, იგი მას ხან ერთი მხრიდან მიუდგებოდა, ხან მეორე მხრიდან: ცდილობდა აეხსნა, გაერკვია, დაემტკიცებინა, დაერწმუნებინა.

და პროლეტარული პეტროგრადი გაჰყვა მას და გაიმარჯვა კიდეც.

ბრძოლებში გაწვრთნილი ლენინის ქალაში ახლაც მტკიცედ და ბოლშევიკურად ებრძვის ფაშისტების ურდოების ალყას, ახლაც მაღლა უჭირავს მას წითელი დროშა.

და ლენინის ძლევამოსილი დროშით და სტალინის ხელმძღვანელობით გაანადგურებს ის მოძალებულ მტერს, რათა საბოლოოდ გაანთავისუფლოს დიადი სოციალისტური სამშობლო ფაშისტურ ურდოებისაგან და კვლავ წინ გასწიოს კომუნიზმის დასამყარებლად...

ლენინი და სტალინი გორკში

ჰანდაკება ვ. ჩხეიძისა და ვ. კვანტალიანისა.

ლენინის სხოვნას საღამო

„მამულს ვუთხრათ გამარჯვება“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა სამონ ჩიქოვანის ლექსების კრებული „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“.

ამ წიგნში თავმოყრილია ყველა ლექსი, რომელიც პოეტმა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში მოათავსა 1941 წლის მეორე ნახევარში. ეს ლექსები მთლიანად მიძღვნილია სამამულო ომისა და მისი გმირებისადმი. ლექსების უმრავლესობა როდია აგებული ზოგადპატრიოტულ მოწოდებაზე, — ისინი გვიხატავენ საბჭოთა ხალხის გმირ შვილების თავდადებულ ბრძოლას სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, საბჭოთა ხალხების მიერ ფაშისტური ოკუპანტების დამარცხების ღრმა რწმენას.

წიგნში მოთავსებულია ოცდაერთი ლექსი.

უნდა აღინიშნოს რომ პოეტმა გასულ წელს მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მან გამოსცა ახალი ლექსების წიგნი, სადაც მოთავსებული იყო უკანასკნელი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები.

„მამულს ვუთხრათ გამარჯვება“ პოეტის მეორე წიგნია, რომელიც 1941 წელს გამოიცა.

ლენინი და სამშობლოს დაცვა

ერ. ასტვაცატუროვი

დღევანდელ ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხები აწარმოებენ სამამულო ომს პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, დიდი ლენინის ყოველი მითითება სოციალისტური სამშობლოს დაცვის საკითხებზე თავის აქტუალობას ინარჩუნებს და წარმოადგენს პრაქტიკული მოქმედების საბრძოლო დირექტივას.

ლენინი საბჭოთა მოქალაქის უპირველეს მოვალეობად აღიარებდა სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს, მის გმირულ დაცვას გარეშე დამპყრობელთაგან. სამშობლოს სიყვარულის გრძნობას ლენინი ყველა გრძნობაზე მაღლა აყენებდა და მოითხოვდა ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისაგან სამშობლოსათვის თავგანწირვას, მსხვერპლის გაღებას. იგი მწარედ დასცინოდა ისეთ ადამიანებს, რომლებიც „გულმოდგინედ“ ოცნებობდნენ მტერზე გამარჯვებას, მაგრამ თავგანწირვას გაურბოდნენ და მსხვერპლის აუცილებლობის წინაშე პაპანებივით თრთოდნენ. თავისუფლება, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება,—გვასწავლიდა ლენინი,—ღირს ყოველგვარ მსხვერპლად... ამასთან იგი ასტიკად წინააღმდეგი იყო ბრმა მსხვერპლისა და მოითხოვდა მკაცრ რევოლუციურ ორგანიზებულობას, საშიშროების ზუსტად გათვალისწინებას და მთელი ძალების მობილიზაციას სამხედრო დროის სისწრაფით.

„შევუდგეთ ორგანიზაციას, ორგანიზაციას და კიდევ ორგანიზაციას“, — აი როგორ აყენებდა ლენინი საკითხს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ურთულეს პირობებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას გარს ეხვია აუარებელი შინაური და გარეშე მტერი. „მარტო ენტუზიაზმი, —სწერდა იგი 1918 წელს,—არ კმარა ომის საწარმოებლად ისეთ მოწინააღმდეგესთან, როგორიც გერმანიის იმპერიალიზმია. უდიდესი გულუბრყვილობა, დანაშაულიც კი იქნებოდა მოუფიქრებელი დამოკიდებულება ახლანდელი, **ნამდვილი, შეუპოვარი, სისხლიანი** ომისადმი“. იგი გვასწავლიდა აგრეთვე, რომ „ნამდვილ სოციალისტს... არ შეჰფერის არც ბაქიბუქობა და არც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა“. სამხედრო და სოციალისტური ძლიერების შექმნა მოითხოვს თავდადებულ შუშაობას, დისციპლინასა და თვითდისციპლინას, ყველგან და ყველაფერში ორგანიზებულობას, წესრიგს, მთელი სახალხო ძალების მწყობრ თანამშრომლობას.

„ჩვენი სურვილია,—ამბობდა ლენინი,—რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ფართოდ გავშალოთ მშვიდობიანი მშენებლობა, მაგრამ რაკი ომი ძალით მოგვახვიეს, ჩვენ ყველაფერი ამ ომის ინტერესებს უნდა დავუმორჩილოთ, რათა სწრაფად და სავსებით გავიმარჯვოთ მტერზე“.

ლენინს ყველაზე უკეთესად ესმოდა, რომ ომს ქვეყანა ურთიერთობის ახალ სტადიაში შეჰყავს, რომ ომის მომენტიდან ყველაფერი ემორჩილება ფრონტის ინტერესებს და ხდება მშვიდობიანი პერიოდის მოთხოვნილებათა შეზღუდვა, რაც ნიშნავს მთელი სამეურნეო მექანიზმის საომარ მდგომარეობაზე გადაყვანას. სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა რუსეთი ებრძოდა თეთრგვარდიელებს და ომს აწარმოებდა ვერაგ ინტერვენტებთან, ლენინი საბრძოლო სულისკვეთებით ზრდიდა ხალხს, იგი მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს შეგნებულად შეხვედროდნენ თავიანთ საპატიო მოვალეობას უძნელეს პირობებში და ეწარმოებინათ **ნამდვილი, შეუპოვარი** ომი გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

„რაკი ჩვენ გერმანელი იმპერიალისტები ომს გვახვევენ თავზე, — სწერდა ლენინი 1918 წელს,—ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა, აღვრიცხოთ ძალები, შევამოწმოთ სამეურნეო მექანიზმი“.

ლენინს ოდნავადაც არ ამცირებდა იმ სიძნელეთა სირთულეს, რომლებიც საბჭოთა რუსეთის წინაშე იდგნენ, იგი პირდაპირ ეუბნებოდა ხალხს, რომ მდგომარეობა აუტანელად მძიმეა, რომ „ჩვენს წინაშე უდიდესი სიძნელეებია“, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ეს სიძნელეები არ იძლევიან სასოწარკვეთილების იოტისოდენა საბაბსო. მას ღრმად სწამდა გამარჯვების გარდუვალობა და ნერგავდა მასებში მომავლის დაუცხრომელ რწმენას. ისტორია ჩვენს მხარეზეა, ამბობდა იგი, და ის თავისას იზამსო: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი რევოლუცია შესძლებს ახლანდელი მომენტის კოლოსალური სიძნელეების გადალახვას“.

ყველა საკითხებიდან ლენინი გამოჰყოფდა ომის დროს წითელი არმიის და ფრონტისათვის დახმარებას. ამ საკითხს იგი მთელი სიმწვავით აყენებდა: დაეხმაროს წითელ არმიას ყველაფრით, რითაც კი შეუძლიან თვითეულს დახმარება,—ასეთია პირველი, ძირითადი და მთავარი მოვალეობა ყველა შეგნებული მუშისა და გლეხისა, რომელსაც არ უნდა კოლჩაკოვობაო.

ვინც არ ეხმარება მთლიანად და თავდადებულად წითელ არმიას, სწერდა ლენინი ერთ-ერთ თავის მიმართვაში მუშებისა და გლეხებისადმი,—ვინც ხელს არ უწყობს მისი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას, ის გამცემია და მოღალატე. მუშურ-გლეხური წითელი არმია წარმოიშვა და განმტკიცდა თავისუფალი საბჭოთა ხალხის მშობლიური დახმარების გარემოცვაში, ამ დახმარებაშია მისი ძალა და უძლეველობა.

ომის პერიოდში ზურგი არის გამარჯვების ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანი. ყოველ ომში ზურგი თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს არმიის გამარჯვებასა და დამარცხებაში. ამიტომ ლენინი მთელ თავის თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობაში უდიდეს ყურადღებას უთმობდა ზურგის მონაწილეობას ომში, მის დახმარებას ფრონტისათვის. ზურგსა და ფრონტს ლენინი ომის პერიოდში იხილავდა, როგორც ერთ მთლიან ორგანიზაციას, როგორც ორგანიულ მთელს. საბჭოთა ხელისუფლება გარშემორტყმული მტრისაგან,—სწერდა იგი;—ის უნდა იყოს **ერთიანი სამხედრო ბანაკი**, არა სიტყვით, არამედ საქმითო.

„ომის **ნამდვილად** საწარმოებლად აუცილებელია მაგრად ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის უერთგულეს ადამიანებს დაუყოვნებლივ გაახადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან“ (ლენინი).

ლენინი მთელი კატეგორიულობით სვამდა საკითხს: „რაკი ომზე მიდგება საქმე, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს, ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს, არავითარი რყევა არ შეიძლება ამის შესახებ“.

ზურგის მონაწილეობა ომში მრავალი ფორმით ხდება. მაგრამ მას ლენინი ორ ძირითად სახედ ჰყოფს. ერთი არის ხალხის მორალურ-პოლიტიკური მთლიანობა, რაც ჩვენი ქვეყნის და წითელი არმიის უძლეველობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. მეორე,—წარმოება-დაწესებულებების, ტრანსპორტის მუშაობის რევოლუციური ორგანიზაცია, ენერგიისა და პასუხისმგებლობის ისეთი ზრდა, როგორც წარმოუდგენელია მშვიდობიან პირობებში. ომის დროს ზურგში ყველა წარმოება, ყველა მოქალაქე უნდა მუშაობდეს ზუსტად, ოპერატიულად, განუწყვეტლივ, სწრაფად, უნდა იძლეოდეს ენერგიისა და პროდუქციის მაქსიმალურ ზრდას, დროზე და მაღალხარისხოვნად აკმაყოფილებდეს ფრონტის მოთხოვნილებას. „პროლეტარული შრომითი დისციპლინა,—ამბობს ლენინი, — უმაღლეს ხარისხის დაჭიმვამდე უნდა ავიყვანოთ, და მაშინ შევიქნებით უძლეველნი. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის გადაგდება არ შეიძლება“.

ლენინი მოითხოვს, ყოველნაირად გაემახვილოთ სიფხიზლე, კონტროლი, ყოველთვის თვალწინ გვედგას ის, რაც ომს სჭირდება და სისტემატურად ვამოწმებდეთ ჩვენს დახმარებას ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, ვამოწმებდეთ იმას, რომ ყველაფერი დროზე და საჭირო რაოდენობით გავაკეთეთ თუ არა იმისათვის, რომ ჩვენი გამარჯვება უზრუნველვყოთ:

„არც ერთი ქრება, არც ერთი თათბირი არ უნდა ჩატარდეს ისე, რომ ყოველგვარი განხილვის დროს პირველ რიგში არ იდგეს კითხვა: ყველაფერი ვქნით ომის დასახმარებლად, საკმაოდ დაჭიმულია ჩვენი ძალ-დონე, საკმარისი დახმარე ძალები გავგზავნეთ ფრონტზე?... ყოველგვარი რყევის უკუგდებით მას (ფრონტს,—ე. ა.) უნდა შეეწიროს ყოველგვარი მსხვერპლი, მას უნდა აღმოეჩინოს ყოველგვარი დახმარება. და როდესაც თავს მოეუყრით ყველა ძალებს და მივიტანთ ყოველგვარ მსხვერპლს, ჩვენ ახლაც აუცილებლად გავიმარჯვებთ“ (ლენინი).

ამრიგად, ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს გამარჯვების საქმეს. საბჭოთა ადამიანებს ყოველთვის კარგად ახსოვთ უდიდესი ბელადის ეს გულში ჩამწვდომი მითითებანი, რადგან მათთვის არ არსებობს იმაზე უფრო კეთილშობილური, იმაზე უფრო წარმტაცი და ძვირფასი მისწრაფება, ვიდრე მისწრაფება მტრის განადგურებისა და მტერზე გამარჯვებისაკენ.

ლენინის ბრძნული მითითებები უშუალოდ ეხმაურებიან დღევანდელ დღეს. საბჭოთა ხალხების დიდ სამამულო ომში ფაშისტი მძარცველების წინააღმდეგ ლენინი გვაიარაღებს საბრძოლო სულისკვეთებით, ის კვლავ მიგვიძღვის წინ, როგორც გამარჯვების დროშა. ლენინიზმით შეიარაღებული ჩვენი მშობლიური წითელი არმია და ზურგი სალი კლდესავით მტკიცეა. საბჭოთა ხალხის და წითელი არმიის დამარცხება შეუძლებელია იმიტომ, რომ მათ წინ მიუძღვით ლენინის დიადი დროშა, იმიტომ, რომ მათ ხელმძღვანელობს ლენინის უდიდესი თანამებრძოლი, მისი საქმის ჭეშმარიტი გამგრძობი, თანამედროვე კაცობრიობის უდიდესი ადამიანი ბრძენი **სტალინი**. საბჭოთა ხალხი წითელარმიასთან ერთად, ერთსულოვნად დაირაზმა დიდი სტალინის გარშემო, იგი აწარმოებს ბრძოლას სიმართლისათვის, სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის, სტალინისათვის. ამ ბრძოლაში მტერი განადგურებული იქნება, რაგინდ ძლიერი და ვერაგი არ უნდა იყოს ის. მტერმა უკვე იგემა წითელი არმიის პირველი გამანადგურებელი დარტყმები, რამაც ომი ახალ ფაზაში შეიყვანა, მან დიდი დამარცხება განიცადა ფრონტის თითქმის ყველა უბანზე.

მოახლოვებულია მისი დაღუპვის დღე. და სწორედ ეს პირველი და გარდუვალი გამარჯვებები მოითხოვენ ჩვენგან ძალების უფრო მეტ მობილიზაციას, სიფხიზლის გამახვილებას, რადგან მტერი სწორედ ასეთ პირობებში შეეცდება ყოველგვარ გერაგულ ავანტიურაზე წასვლას. „მხოლოდ იმის გამო,—გვაფრთხილებდა ლენინი, — რომ ისინი (მტრები,—ე. ა.) გრძნობენ თავის დაღუპვას, მათ შეუძლიათ ავანტიურაზე წასვლა...“ „თუმცა ჩვენ უკვე მრავალი გამარჯვება მოვიხვეჭეთ“ (ლენინი), მაგრამ „ფხიზლად უნდა ვიყოთ, უნდა დავიცვათ, განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამხედრო სამზადისი, რათა განვახორციელოთ ის ამოცანა, რომელიც მუშათა კლასის წინაშე დგას“ (ლენინი). „ახლა გვჭირდება ძალების ახალი დაჭიმვა, ახალი საარაკო მსხვერპლი“ (ლენინი).

დიდი სტალინის მიერ აღზრდილი საბჭოთა ხალხი მზად არის ყოველგვარ მსხვერპლისათვის, რათა დაამარცხოს და საბოლოოდ მოსპოს კაცობრიობის უბოროტესი მტერი—ფაშიზმი, უზრუნველჰყოს ფაშიზმის მიერ დამონებული ხალხების თავისუფალი და მშვიდობიანი ცხოვრება.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ფულუქიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 39